




2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 7.1%-ია, თუმცა საქართველო ინფლაციური წნეხისა და გარე შოკების წინაშეა

გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)




ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზის მიხედვით, მაისის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია 2025 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეკონომიკის **8.2%-ით**, ხოლო მესამე კვარტალში – **6.5%-ით** ზრდა. 2025 წელს წლიური ზრდა, ცუდი სცენარის შემთხვევაში **6%** იქნება, საუკეთესო და საშუალო გრძელვადიანი სცენარის შემთხვევაში – **7.6%**. ჩვენი საშუალო სცენარით, ბოლო ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის საფუძველზე, რეალური მშპ **7.1%-ით** გაიზარდება.




მონეტარული ინდიკატორებიდან, **2025 წლის მაისში უცხოური ვალუტის დეპოზიტები 10.6%-ით გაიზარდა (FC_DEPTOT)**, რაც დოლარიზაციის ზრდაზე მიუთითებს (2025 წლის დასაწყისიდან) და უარყოფითად აისახება პროგნოზზე. ამის საპირისპიროდ, **M3 აგრეგატი წლიურად 11.1%-ით გაიზარდა**, რაც დადებითად აისახა პროგნოზზე რაც მიანიშნებს, რომ მონეტარული პირობები ხელსაყრელია და მოთხოვნის მხარეს დინამიკა გაზრდილია. **2025 წლის 7 მაისს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8%-ზე დატოვა**, რაც მიანიშნებს, რომ ბანკი სიფრთხილეს იჩენს მზარდი ინფლაციური წნეხისა და მაღალი მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის ფონზე.

მაისში, **ექსპორტი 15.7%-ით გაიზარდა**, ხოლო **იმპორტი 5%-ით შემცირდა**, რამაც **სავაჭრო დეფიციტი 16.4%-ით შემცირა**. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ექსპორტი გაუმჯობესდა, რაც მეტწილად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტით იყო გამოწვეული, მშპ-ის პროგნოზზე მისი ეფექტი **ნეიტრალური** იყო, რადგან მოდელი ამ ცვლილებას განიხილავს როგორც პოტენციურად დროებით და დაბალი დამატებული ღირებულების მქონე მაჩვენებლად. მართალია სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა, თუმცა ექსპორტის წვლილი მდგრადი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელში მცირეა.

2025 წლის მაისში საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების დინამიკა ასე გამოიყურება: **თვიურ კრილში ევრო 1.8%-ით, ხოლო რუბლი – 2.8%-ით გამყარდა.** ამის საპირისპიროდ, **აშშ დოლარი 1%-ით, ხოლო თურქული ლირა – 4.6%-ით გაუფასურდა.** ასეთი დინამიკის მიუხედავად, ჩვენი მოდელის თანახმად, სავალუტო კურსის განვითარებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე. ამავდროულად, **ოფიციალური სარეზერვო აქტივები 67 მილიონი აშშ დოლარით (1.5%) გაიზარდა,** რაც გარე ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.



2025 წლის მაისის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 3.5%-ს შეადგენდა, რაც კვლავ ახლოს იყო ეროვნული ბანკის **3%-იან სამიზნე მაჩვენებელთან** და ასახავდა შედარებით სტაბილურ საფასო გარემოს. ამავე დროს, **Euro Brent-ის სპოტ ფასი წლიურად 21.2%-ით შემცირდა,** რამაც შეამსუბუქა გლობალური საფასო წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, **ინფლაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.**



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი **ახალი ეკონომიკის სკოლის** მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.